საქართველოს მთავრობის

დადგენილება №182

2018 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

მუხლი 2

1. აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესრულება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ეთხოვოთ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში (2018-2020 წლებისთვის) ჩართულ შესაბამის უწყებებს კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობა სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**